კომპიუტერული პროგრამების მართვასთან დაკავშირებული დანახარჯები მათი გაწევისთანავე აღირიცხება ხარჯების ნაწილში. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის ხარჯები (დაკავშირებული ახალი, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირებასა და დიზაინთან) აღიარებულია, როგორც არამატერიალური აქტივი მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს ამ პროცესის ბოლომდე მიყვანის სურვილი და ტექნიკური უნარი იმ მოცულობით, რომ შესაძლებელი იყოს პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება თუ გაყიდვა, აგრეთვე აქტივს შეეძლოს სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოტანა განვითარების ხარჯების გათვალისწინებით. უნდა არსებობდეს რესურსები პროცესის ბოლომდე მიყვანისთვის და შესაძლებელი იყოს განვითარების ხარჯების სანდოდ შეფასება. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე გაწეული სხვა დანახარჯების აღრიცხვა მათი გაწევისთანავე ხდება სხვა ხარჯების ნაწილში.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

წმინდა საკომისიო შემოსავალი

კომპანია საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საბროკერო მომსახურების გაწევა და კლიენტების ფულადი სახსრებისა და აქტივების მართვა და კონტროლი. შემოსავალი კლიენტებთან

გაფორმებული ხელშეკრულებიდან აღიარდება მაშინ როდესაც კონტროლი საქონელსა და მომსახურებაზე გადადის კლიენტზე იმ თანხით რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ. საკომისო ხარჯი აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია გამოიმუშავებს შესაბამის საკომისიო შემოსავალს, საკომისიო ხარჯი წარმოიქმნება სავაჭრო პლატფორმის მომსახურებაზე.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოდგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსის შესაბამისად საგადასახადო მოგება ან ზარალი არ განსხვავდება ფასს სტანდარტების მიხედვით მიღებული მოგება ან ზარალისგან.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტიცია აღიარებულია საწყისი ღირებულებით და დაკლასიფიცირებულია როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდის აღიარება ხდება ვალდებულებებში იმ წელს როდესაც ხდება გამოცხადება.

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარე ხარჯები აღირცხულია, როგორც გამოქვითვები კაპიტალის შემოსავლებიდან. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებითი შეტანილი კაპიტალი. 1 აქციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 ლარს.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება ან თუ ისინი შეთავაზებული ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდეგ.

აქტივის გამოყენების უფლება

კომპანია აქტივის გამოყენების უფლებას აღიარებს გრძელვადიანი საიჯარო კონტრაქტის არსებობის შემთხვევაში, ამავედროულად კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებას ამორტიზირებული ღირებულებით. პერიოდის განმავლობაში იჯარაზე გაწეული ხარჯი

ჩამოიწერება სხვა სრულ შემოსავალში როგორც იჯარის ხარჯი, ასევე კომპანია ცვითავს აქტივის გამოყენების ულფებას საკონტრაქტო პერიოდზე.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის განცალკევებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით და არამატერიალური აქტივებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

5. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

ახალ ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიღება.

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ იყო ძალაში შესული 2018 წლის 1 იანვარს დაწყებული ფინანსური წლისთვის, გარდა ფასს 16-ისა „იჯარა“.

იმის გათვალისწინებით, რომ ეს ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის პირველი საოპერაციო წლისთვის, ფასს 16-ის ვადაზე ადრე გამოყენებას არ ქონია აღნიშნული ახალი სტანდარტის დანერგვით გამოწვეული ცვლილების ეფექტი.

6. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	ავეჯი და სხვა მოწყობილობები	კომპიუტერები და სხვა მოწყობილობები	სხვა	ჯამი
2018 წლის 6 მარტი	-	-	-	-
შემოსვლა	58,001	75,353	1,475	134,829
2018 წლის 31 დეკემბერი	58,001	75,353	1,475	134,829
აკუმულირებული ცვეთა				
2018 წლის 6 მარტი	-	-	-	-
ცვეთის ხარჯი	6,940	6,103	218	13,261
2018 წლის 31 დეკემბერი	6,940	6,103	218	13,261
ნარჩენი ღირებულება				
2018 წლის 31 დეკემბერი	51,061	69,250	1,257	121,568

კომპანიას არ აქვს უზრუნველყოფით დატვირთული ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი გატარებულია სხვა სრული შემოსავლის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების მუხლში.

7. აქტივის გამოყენების უფლება

კომპანიას 2018 წლის 16 ივლისს შპს „კოდუ“-სგან (საიდენტიფიკაციო ნომერი 202185615) 2 წლიანი იჯარით აღებული აქვს საოფისე ფართი (ფართობი 480 კვ.მ; საკადასტრო კოდი: 01.13.03.001.007). აქტივის გამოყენების უფლებების საბალანსო ღირებულება და ცვეთის ხარჯი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შესაბამისად შეადგენს 101,625 ლარს და 26,947 ლარს. ცვლად საიჯარო გადახდებთან დაკავშირებული ხარჯი, რომელიც გათვალისწინებული არ იყო საიჯარო ვალდებულებების შეფასებაში შეადგენს 6,377 ლარს. იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება შეაფასა იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირების გასაანგარიშებლად გამოიყენა ზღვრული სასესხო განაკვეთი (9%). საიჯარო ვალდებულება და მასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შესაბამისად შეადგენს 122,463 ლარს (მიმდინარე ნაწილი - 76,047 ლარი, გრძელვადიანი ნაწილი - 46,416 ლარი) და 4,627 ლარს.

სს „საბროკერო და აქტივების მმართველი კომპანია ველსი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის
(ქართულ ლარში)

8. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	პროგრამული უზრუნველყოფა	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
2018 წლის 6 მარტი	-	-	-	-
შემოსვლა	356,854	5,000	900	362,754
2018 წლის 31 დეკემბერი	356,854	5,000	900	362,754
აკუმულირებული ამორტიზაცია				
2018 წლის 6 მარტი	-	-	-	-
ამორტიზაციის ხარჯი	28,261	-	68	28,329
2018 წლის 31 დეკემბერი	28,261	-	68	28,329
ნარჩენი ღირებულება				
2018 წლის 31 დეკემბერი	328,593	5,000	832	334,425

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი გატარებულია სხვა სრული შემოსავლის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების მუხლში.

9. გაცემული სესხები

მსესხებელი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დასრულების თარიღი	თანხა		დარიცხული პროცენტი
				უცხოურ ვალუტაში	თანხა ლარში	
დაკავშირებული მხარე	დოლარი	9%	10-06-19	146,254	391,464	1,111
დაკავშირებული მხარე	ევრო	9%	01-11-20	78,723	241,687	3,390

დოლარში და ევროში გაცემულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი შესაბამისად შეადგენს 15,285 ლარს და 3,390 ლარს. დოლარში გაცემული სესხი წარმოადგენს 250,000 დოლარის ლიმიტის ოდენობის საკრედიტო ხაზს, რომლიდანაც მსესხებლის მიერ პერიოდულად ათვისებულ თანხებზე შედგენილია შესაბამისი აქტები. ევროში გაცემული სესხი და მასზე დარიცხული პროცენტი უნდა დაბრუნდეს ვადის გასვლისთანავე. (დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები მოცემულია შენიშვნა 22-ში).

10. ინვესტიცია შვილობილ საწარმოში

2018 წლის 22 ნოემბერს სს „საბროკერო და აქტივების მმართველმა კომპანია ველსმა“ შეიძინა სს „ალტერნატიული სავაჭრო და მართვის სისტემების“ აქციათა 100% დიმიტრი სუკიასოვისგან 113,611 ლარად. ინვესტიციის დადასტურებისთვის კომპანია აპირებს დამოუკიდებელი შემფასებლის მომსახურების გამოყენებას. ამ ანგარიშების გამოცემის მომენტისთვის შვილობილ კომპანიის ღირებულების შეფასება არ მომხდარა. ინვესტიცია შვილობილ საწარმოში აღიარებულია თვითღირებულებით კომპანიის განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. შვილობილი კომპანიის რეგისტრაციის და ძირითადი საქმიანობის ქვეყანა არის საქართველო.

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები	31 დეკემბერი, 2018
ნაშთი საბანკო ანგარიშზე რეზიდენტ ბანკში (ლარი)	775
ნაშთი საბანკო ანგარიშზე რეზიდენტ ბანკში (დოლარი)	68,859
ნაშთი საბანკო ანგარიშზე არარეზიდენტ ბანკში (დოლარი)	22,873
სულ	92,507
ფული და ფულის ეკვივალენტები (კლიენტები)	
კლიენტების ფულადი სახსრები რეზიდენტ ბანკში (დოლარი)	11,264
კლიენტების ფულადი სახსრები არარეზიდენტ ბანკში (დოლარი)	155,119
ფული ლიკვიდურობის პროვაიდერთან (დოლარი)	814,383
სულ	980,766
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1,073,273

12. გრძელვადიანი სესხი

მსესხებელი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დასრულების თარიღი	თანხა		
				უცხოურ ვალუტაში	თანხა ლარში	დარიცხული პროცენტი
ფიზიკური პირი	ევრო	9%	01-11-20	80,000	245,608	3,504
ფიზიკური პირი	ევრო	9%	27-11-20	20,000	61,402	495

ორივე სესხი გაცემულია ერთი და იგივე ფიზიკურ პირზე და ორივე ნაწილი უნდა დაბრუნდეს ვადის გასვლისთანავე.

13. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და

მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიის ჯამური საგადასახადო ვალდებულება შეადგენს 115,791 ლარს, საიდანაც 107,478 ლარი წარმოადგენს მოგების გადასახადს ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან.

კომპანიის საგადასახადო აქტივი შედგება ფიზიკურ პირზე გაცემულ სესხზე აღიარებული მოგების გადასახადისგან, რომლის ჩათვლასაც კომპანია ვარაუდობს სესხის დაბრუნებისას.

14. ვალდებულებები კლიენტების წინაშე

აღნიშნული მუხლი მოიცავს კლიენტების მიერ სავაჭრო ოპერაციების განსახორციელებლად პლატფორმაზე განთავსებულ ფულად სახსრებს. თანხის ჩარიცხვა კლიენტის ანგარიშზე ხდება კრედიტის სახით 2 სამუშაო დღის ვადაში, მას შემდეგ რაც თანხა აისახება კომპანიის საბანკო ანგარიშზე. კომპანიასა და კლიენტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად, კლიენტების მხრიდან შესაბამისი განცხადების საფუძველზე თანხის გატანის მოთხოვნის დაფიქსირებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში კომპანია ვალდებულია თანხა უკან დააბრუნოს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აღნიშნული თანხები ჯამურად შეადგენს 980,766 ლარს. კომპანიის გადახდისუუნარობის დადგომის შემთხვევაში კლიენტს უფლება აქვს მოითხოვოს საკუთარი სახსრების უკან დაბრუნება მისი სავაჭრო ბალანსის შესაბამისად, რომელიც განთავსებულია კომპანიის სეგრიგირებულ/ნომინალურ ანგარიშზე, ხოლო კომპანია ვალდებულია კლიენტის მიერ მოთხოვნის განხორციელებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში დაუბრუნოს კლიენტს მისი კუთვნილი სახსრები.

15. საკომისიო შემოსავალი და ხარჯი

	2018 წლის 6 მარტიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე
შემოსავალი ვაჭრობიდან	284,199
შემოსავალი ტრენინგებიდან	3,686
საკომისიო შემოსავალი	3,021
სულ	290,906
ვაჭრობასთან დაკავშირებული ხარჯები	(168,218)
პლატფორმის საკომისიო ხარჯი	(25,838)
სულ	(194,056)
წმინდა საკომისიო შემოსავალი	96,850

16. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

	2018 წლის 6 მარტიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე
შრომის ანაზღაურება	126,948
ცვეთა და ამორტიზაცია	41,591
საიჯარო ხარჯი	29,051
მარკეტინგის ხარჯი	26,167
საბანკო მომსახურების ხარჯი	14,103
სარემონტო ხარჯი	7,661
საკომუნიკაციო ხარჯი	3,145
საკანცელარიო ხარჯი	3,068
საკონსულტაციო ხარჯი	2,542
კომუნალური ხარჯი	2,256
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	24,276
სულ	280,808

საიჯარო ხარჯი მოიცავს აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯს 26,947 ლარს.

17. სხვა ხარჯი

	2018 წლის 6 მარტიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე
სავაჭრო პროგრამის ხარჯი	45,730
საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი	4,627
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	305
სულ	50,662

სავაჭრო პროგრამის ხარჯი წარმოადგენს კომპანიის მიერ შეძენილ სავაჭრო ტერმინალს (Meta Trader 4) და კლიენტების მართვის სისტემას, რომლის გამოყენება ვერ მოხერხდა ეროვნული ბანკის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებული შეზღუდვების გამო.

18. კაპიტალი

კომპანიის გამოშვებული და განთავსებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა 2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით შეადგენს 2,000,000 ცალ აქციას, თითოეული ჩვეულებრივი აქციის ნომინალური ღირებულება არის 1 ლარი.

2,000,000 ლარის ნომინალური ღირებულების აქციებში კომპანიის მეწილეების მხრიდან გაკეთებულია ფულადი და არაფულადი შენატანები 758,761 ლარის და 391,842 ლარის შესაბამისად.

19. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები

შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან ავიცილოთ საოპერაციო და იურიდიული რისკები

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში

ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიის საფრთხე რისკის მიმართ უპირველესად უკავშირდება მის ფუნქციონირებას და ფინანსირების საქმიანობებს (სესხები და კრედიტები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში).

სავალუტო რისკის საფრთხე მომდინარეობს კომპანიის ნაღდი ფულის და საბანკო ბალანსებიდან, რომლებიც დენომინირებულია სხვადასხვა ვალუტებში.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და პასივები, რომლებიც კომპანიას სავალუტო რისკის წინაშე აყენებენ, ქვემოთ არის მოცემული. მოცემული თანხები არის თანხები, რომლებიც შეტყობინებულია მთავარი მენეჯმენტისათვის და კონვერტირებულია ლარში საანგარიშო პერიოდის კურსით.

გარდა ამისა ქვემოთ მოცემულ ცხრილში დეტალურად არის აღწერილი კომპანიის მგრძნობელობა 30%-იან ზრდაზე და შემცირებაზე ლარში თითოეულ ვალუტასთან მიმართებით. 30% წარმოადგენს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილების მენეჯმენტისეულ შეფასებას. ანალიზი „მგრძნობელობაზე“ მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ნარჩენ ფულად საშუალებებს და არეგულირებს მათ კონვერტირებას პერიოდის დასასრულისათვის უცხოური ვალუტის კურსის 30%-იანი ცვლილებით.

დადებითი სიდიდე მიუთითებს მოგება-ზარალის ზრდას, როდესაც ლარი მყარდება შესაბამისი ვალუტის მიმართ.

სს „საბროკერო და აქტივების მმართველი კომპანია ველსი“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი
შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის
(ქართულ ლარში)

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას სავალუტო რისკის წინაშე აყენებენ, ქვემოთ არის მოცემული:

2018	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	775	1,072,498	-	1,073,273
მოთხოვნები პარტნიორებზე გაცემული სესხიდან	-	392,575	245,077	637,652
სულ ფინანსური აქტივები	775	1,465,073	245,077	1,710,925
ფინანსური ვალდებულებები				
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	-	980,766	-	980,766
გრძელვადიანი სესხი	-	-	311,009	311,009
საიჯარო ვალდებულება	-	122,463	-	122,463
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	1,103,229	311,009	1,414,238
წმინდა სავალუტო პოზიცია	775	361,844	(65,932)	296,687
გავლენა მოგება ზარალზე				
30%-იანი ზრდა	233	108,553	(19,780)	
30%-იანი შემცირება	(233)	(108,553)	19,780	

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს საკუთარი ვალდებულებების შესრულება.

კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით, აგრეთვე ძლიერ ლიკვიდური აქტივების ფლობით ყველა საოპერაციო და სავალო მომსახურების გასაწევად, რაც უკავშირდება გადახდებს, როდესაც ისინი დაექვემდებარებიან გადახდას.

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის ფინანსური დოკუმენტებით გათვალისწინებულ ნარჩენ დაფარვის ვადებს მისი არა-დერივატიული ფინანსური ვალდებულებებისათვის გადახდის შეთანხმებული პერიოდებით. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების ფულადი ნაკადების საფუძველზე უფრო ადრეულ თარიღზე დაყრდნობით, როდესაც კომპანიას მოეთხოვება გადახდა.

2018	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
გაცემული სესხები	392,575	245,077	-	637,652
სულ პროცენტის შემცველი ფინანსური აქტივები	392,575	245,077	-	637,652
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	1,073,273	-	-	1,073,273
სულ ფინანსური აქტივები	1,465,848	245,077	-	1,710,925
ფინანსური ვალდებულებები				
ნასესხები საშუალებები	-	311,009	-	311,009
სულ პროცენტის შემცველი ფინანსური ვალდებულებები	-	311,009	-	311,009
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	980,766	-	-	980,766
საიჯარო ვალდებულება	76,047	46,416	-	122,463
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,056,813	357,425	-	1,414,238
ლიკვიდურობის გარღვევა	409,035	(112,348)	-	
კუმულატიური ლიკვიდურობის გარღვევა	409,035	296,687	296,687	
საპროცენტო მგრძნობელობის ლიკვიდურობის გარღვევა	392,575	(65,932)	-	
კუმულატიური საპროცენტო მგრძნობელობის ლიკვიდურობის გარღვევა	392,575	326,643	326,643	

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ კომპანიის მფლობელები იმისდა მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია აწარმოებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას მხოლოდ იურიდიული მოთხოვნების გამო იმ იურისდიქციის ფარგლებში სადაც ის ოპერირებს.

20. პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები

საქმიანობის ჩვეულებრივი მსვლელობისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა აღიმართოს სარჩელები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ სარჩელებიდან გამომდინარე საბოლოო ვალდებულებას არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო ფუნქციონირებაზე.

გადასახადები

საკმაოდ ხშირად ხდება საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის არაერთგვაროვანი განმარტება და ცვლილება. ხელმძღვანელობის მიერ ამგვარი ნორმების განმარტებები, რომლებიც გამოიყენება კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით, შესაძლებელია ექვემდებარება დააყენონ შესაბამისმა რეგიონულმა და სახელმწიფო სამსახურებმა. საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში საგადასახადო ორგანოებს სულ უფრო მკაცრი პოზიცია უჭირავთ და ამის გამო შეიძლება ის ოპერაციები და საქმიანობა, რომლებიც წარსულში ექვემდებარებოდა არ დამდგარა, ახლა სადავო გახდეს. ამის გამო შეიძლება კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. პრაქტიკული არ იქნება შესაძლო დაუზუსტებელი ზარალის ოდენობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მათი უარყოფითი შედეგების ალბათობის განსაზღვრა. სახელმწიფო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ ფისკალური პერიოდები, კერძოდ- შემოწმების წლიდან წინა სამი კალენდარული წელი. ზოგ შემთხვევაში შემოწმება შეიძლება უფრო დიდი პერიოდის მოიცვას.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისებული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები დარჩება უცვლელად.

პირობითი ფინანსური ვალდებულებები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის პირობითი ფინანსური ვალდებულებები შედგება შემდეგისგან:

	31 დეკემბერი, 2018
საგადასახადო ვალდებულებები:	60,291
სულ პირობითი ვალდებულებები	60,291

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 18 აპრილს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მოვლენა, რომელიც უნდა იქნეს აღნიშნული.

22. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (a) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (a) ან (d)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (d) ან (e)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

კომპანიის აქციონერები არიან დაკავშირებული მხარეები შემდეგი წილით - დიმიტრი სუკიასოვი (50%) და მარია აბრაჰამიანი (50%).

ოპერაციები

დაკავშირებულ მხარეებთან

2018 წლის 6 მარტიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე

	კავშირი კომპანიასთან	დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები	ფინანსურ ანგარიშგებაში ჯამური თანხა
საპროცენტო შემოსავალი	აქციონერები	18,675	18,675

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

31 დეკემბერი, 2018

კავშირი კომპანიასთან	დაკავშირებული მხარის ნაშთი	ფინანსურ ანგარიშგებაში ჯამური თანხა
გაცემული სესხები	637,652	637,652

2018 წლის 22 ნოემბერს სს „საბროკერო და აქტივების მმართველმა კომპანია ველსმა“ შეიძინა 113,611 ლარად კომპანიის 100%-იანი წილი სს „ალტერნატიული სავაჭრო და მართვის სისტემები“-სგან, რომელსაც ყავს იგივე დამფუძნებელი.

2018 წლის 6 მარტიდან 2018

მენეჯმენტის ანაზღაურება

წლის 31 დეკემბრამდე

ხელფასი და სხვა მოკლევადიანი სარგებელი

25,394